



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #25 ივნისი, 2013

გამოშვებაში წაიკითხავთ

- 1 მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ხელს უწყობენ ელექტრონული მთავრობის განვითარებას
- 2 **CERT.GOV.GE** ჯგუფი **FIRST**-ის სრული წევრი გახდა
- 3 მონაცემთა გაცვლის სააგენტო და კომპანია **MI-CROSOFT**-მა თანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმეს
- 3 კიბერუსაფრთხოების ფორუმის გასვლითი სხდომა
- 4 სხვა თემები

მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ხელს უწყობენ ელექტრონული მთავრობის განვითარებას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას



მსოფლიო ბანკის ჯგუფის საინვესტიციო გარემოს საკონსულტაციო პროგრამა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ხელს უწყობენ რეგიონის ქვეყნებს, გამოიყენონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კონკურენტუნარიანი და სამართლიანი ბიზნესგარემოს შესაქმნელად და მთავრობასა და ბიზნესს შორის გამჭვირვალე ურთიერთობების დასამყარებლად.

4-6 ივნისს, მსოფლიო ბანკის ჯგუფმა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უმასპინძლეს სამუშაო შეხვედრას, რომელსაც 100-მდე წარმომადგენელი დაესწრო ევროპის, ცენტრალური და სამხრეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის 20-ზე მეტი ქვეყნიდან.

ღონისძიების გახსნას ესწრებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას. შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიმართა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, ირაკლი გვენეტაძემ, რომელმაც საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების შესახებ გააკეთა პრეზენტაცია.

ღონისძიებაზე ასევე განიხილეს, თუ როგორ იყენებენ მთავრობები "ონლაინ" ინფორმაციის და მომსახურების მექანიზმებს (რომელსაც ჩვეულებრივ ელექტრონულ მთავრობას უწოდებენ). შეხვედრის მიზანია ბიზნესის წარმოების ხარჯების შემცირება, გამჭვირვალობის ამაღლება და სახელმწიფო სერვისებთან წვდომის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. (გაგრძელება გვ.2).

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge	იუსტიციის სახლი www.house.gov.ge	MY.GOV.GE სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი www.my.gov.ge	საპალატო სერვისების განვითარების სააგენტო www.cra.gov.ge	საპარლამენტო აქციონის სააგენტო www.napr.gov.ge
საქართველოს მართლმადიდებელი სამართლებრივი არქივი www.archives.gov.ge	საქართველოს ნაგებობების ელექტრონული ბაზარი www.nbe.gov.ge	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო მოხელეების კორპორატიული საინფორმაციო სისტემა www.notary.gov.ge	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	ელექტრონული აუქციონი www.eauction.ge
თბილისის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სისტემა www.tbilisi.gov.ge				

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) მონაწილეებმა ასევე განიხილეს, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული ინოვაციები ეფექტიანობის ამაღლებას, ანგარიშვალდებულების და მომსახურების გაუმჯობესებას და სახელმწიფო სერვისების მასშტაბის გაფართოებას. შეხვედრის მონაწილეების ასევე განიხილავენ აღნიშნული მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გზებს საკუთარი ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით.

ღონისძიებამ ერთმანეთთან დააკავშირა რეგიონის ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები და პრაქტიკოსები, რომლებიც მონაწილეობენ საინვესტიციო გარემოს რეფორმირებაში და ელექტრონული მთავრობის სერვისების შემუშავებაში. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლები და მსოფლიო ბანკის ჯგუფის სპეციალისტები. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე გაცნობოდნენ ელექტრონულ მმართველობაში აღიარებული ლიდერის - საქართველოს მთავრობის ინოვაციური "ონლაინ" სერვისების მუშაობას. ისინი ასევე გაეცნენ საქართველოს გამოცდილებას საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანერგილ ელექტრონულ მომსახურებებს.

შეხვედრა ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს CERT.GOV.GE ჯგუფი FIRST-ის სრული წევრი გახდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი CERT.GOV.GE ანალოგიური პროფილით მომუშავე ორგანიზაციების საერთაშორისო ფორუმის FIRST-ის სრული წევრი გახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება FIRTS-ის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ მარტენ ვან ჰორენბიკმა სააგენტოსთვის გამოგზავნილ ოფიციალურ შეტყობინებაში დაადასტურა.

FIRST-ის სრული წევრობა CERT.GOV.GE-ს

საშუალებას მისცემს შეუფერხებლად მიიღოს ინფორმაცია მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრებიდან კიბერ და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უცხოელ პარტნიორებთან ერთად საერთაშორისო მასშტაბით ერთობლივად იმუშაოს სხვადასხვა დონის ინციდენტების აღმოჩენის, რეგისტრაციისა და პრევენციის ღონისძიებებზე. ამასთან, CERT.GOV.GE-ს მონაცემები განთავსდება FIRST-ის მონაცემთა ბაზაში, როემლიც ხელმისაწვდომია ყველა მისი წევრისთვის, რაც გაამარტივებს კავშირს სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან და ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გააქტიურებას.

„მოხარული ვარ, რომ ჩენი სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი, საქართველოს სამთავრობო „სერტი“ - CERT.GOV.GE ოფიციალურად შეუერთდა მსოფლიოში დღეისათვის არსებულ ერთ-ერთ ყველაზე ქმედუნარიან საერთაშორისო ფორუმს FIRST-ს, რომელიც თავს უყრის ჩვენი პროფილის ორგანიზაციებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ ორგანიზაციას წევრობის მკაცრი კრიტერიუმები აქვს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია მისი წევრობისთვის. ეს კრიტერიუმებია: გამართული ინფრასტრუქტურა, პროფესიონალთა გუნდი, წარმატებული პროექტების პორტფოლიო, მჭიდრო საერთაშორისო კავშირები და სხვა. კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო კმაყოფილება, რომ CERT.GOV.GE-მ ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა და გახდა FIRST-ის სრული წევრი.“ - ირაკლი ლომიძე, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ და კომპანია MICROSOFT-მა კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ და კომპანია Microsoft-მა 5 ივნისს, სასტუმროში „თბილისი მარიოტი“ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს კიბერ ინციდენტებზე რეაგირების პროცესში მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და კომპანია Microsoft-ის თანამშრომლობას.

მემორანდუმის თანახმად, კომპანია Microsoft-ი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფს კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს დახმარებას კომპიუტერული ინციდენტების

აღმოჩენის, ანალიზისა და პრევენციის პროცესში.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია მზად არის ითანამშრომლოს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან კიბერ და ინფორმაციული ინციდენტების აღმოჩენის, ანალიზისა და პრევენციის პროცესში. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი CERT.GOV.GE ქვეყნის მასშტაბით კიბერ და ინფორმაციული ინციდენტების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ორგანოა და ასეთ ძლიერ პარტნიორთან თანამშრომლობა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს საქართველოს კიბერ სივრცის უსაფრთხოების დონის ამაღლებას.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

„Microsoft-ს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს IT კომპანიას, ხშირად უწევს მრავალ კიბერ ინციდენტთან შეხება, რომელიც მიმართულია მისი შიდა ქსელის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, კომპანიას აქვს მსოფლიო კლასის გამოცდილება კიბერ ინციდენტების აღმოჩენისა და აღმოფხვრის საქმეში. ამ გამოცდილებას Microsoft-ი უფასოდ უზიარებს საკუთარ მომხმარებლებს, რათა მათ უკეთ შეძლონ ასეთი ინციდენტებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ დახმარებას გაუწევთ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, რაც ქვეყნის მთავრობას შესაძლებლობას მისცემს უკეთ გაუმკლავდეს ახლანდელ თუ სამომავლოდ მოსალოდნელ კიბერ საფრთხეებს.“ - **დავით ასათიანი**, Microsoft საქართველოს გენერალური მენეჯერი.

კიბერ უსაფრთხოების ფორუმის გასვლითი სხდომა



15 ივნისს, ყვარელში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა კიბერ უსაფრთხოების ფორუმის გასვლითი სხდომა, რომლის დროსაც ფორუმის მონაწილეებისთვის სააგენტოს წარმომადგენლებმა პრეზენტაციები გააკეთეს.

პრეზენტაციები სხვადასხვა თემატურ მიმართულებას მოიცავდა და ეხებოდა საქართველოს კიბერ სამართალს, საქართველოს სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის - CERT.GOV.GE მიზნებს, ამოცანებს, მიმდინარე პროექტებსა და საერთაშორისო დონეზე პარტნიორულ თანამშრომლობას, ასევე ფორუმის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია კიბერ სივრცის საფრთხეების იდენტიფიცირებისა და კიბერ თავდაცვის

ორგანიზების შესახებ (გაგრძელება გვ. 4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3) „კიბერ უსაფრთხოების ფორუმი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე აერთიანებს სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ქვეყნის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თანამშრომლობის კარგი მაგალითია. დღევანდელი გაცვლითი შეხვედრის ფარგლებში ჩვენს პარტნიორებსა და კოლეგებს, ფორუმის მონაწილეებს მივაწოდეთ ინფორმაცია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით გაწეული სამუშაოების შესახებ. დეტალურად გავაცანით როგორც ზოგადი მიმართულებები, ისე კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვადასხვა ინსტრუმენტები. ასეთი შეხვედრები ტრადიციულ სახეს მიიღებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ფორუმი მუშაობის ხარისხს.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს

დამმობილების (TWINNING) პროექტი: სასწავლო ვიზიტი ავსტრიაში ელექტრონული მმართველობის საკომუნიკაციო სტრატეგიებთან დაკავშირებით

17-21 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლები დამმობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ავსტრიაში, ქ. ვენაში. სასწავლო ვიზიტი ეძღვნებოდა ელექტრონული მმართველობის საკითხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თანამედროვე ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებას და ამ მიმართულებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას.

შეხვედრები გაიმართა ავსტრიის პარლამენტის პრეს-ოფისში, ავსტრიის პრესის სააგენტოში (APA), ვენის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში, ევროპარლამენტის ვენის ოფისში, პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კომპანიის Fabasoft-ის ქ. ლინცის ოფისში, ზემო ავსტრიის სავაჭრო პალატის ოფისში, ავსტრიის ფედერალურ კანცელარიაში.

„ავსტრიაში გამართული შეხვედრები მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხით, რომ ჩვენ საშუალება მოგვცა გავცნობოდით ევროკავშირის ქვეყნებში და, კერძოდ კი ავსტრიაში, ელექტრონული მმართველობის განხორციელებისას კომუნიკაციის, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე მიდგომების გამოყენების მაგალითებს. ამ მხრივ აღსანიშნავია შეხვედრა ავსტრიის ფედერალური კანცელარიის ელექტრონული მმართველობის ოფისის კონტრაქტორ კომპანიაში „პრიპოდა“, რომლის დროსაც განხილული იქნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის სპეციფიკა და კონკრეტული პროექტები - ვიზუალური და საცნობარო მასალა, ვიდეო და აუდიო რგოლები, ელექტრონული მმართველობის სპეციალური სტენდები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა კონფერენციისა და საზოგადოებასთან შეხვედრების დროს. ასევე მნიშვნელოვანი იყო საკომუნიკაციო კომპანია MILESTONES-ში გამართული შეხვედრა ელექტრონული მმართველობის სფეროში სოციალური მედიის გამოყენების სპეციფიკასთან დაკავშირებით.“ - **მამუკა კახიანიშვილი**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დამმობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტზე მუშაობა დაასრულა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების (Twinning) პროექტის „ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში დაასრულა ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტის წინასწარ ვერსიაზე მუშაობა. სამუშაო პროცესში ჩართული მხარეებისთვის, სხვადასხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლებისთვის, დოკუმენტის პრეზენტაცია 4 ივლისს გაიმართა.

ელ-საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტში ასახულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების, მათი გამოყენებისა და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების მასტიმულირებელი აქტივობები. იდენტიფიცირებულ იქნა ელ-მმართველობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების ჩამონათვალი, ბიზნესისა და საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობისა და საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ტექნიკური გარემოს საკითხები (გაგრძელება გვ. 5).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4) „დამშობილების პროექტის ფარგლებში ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი. ჩვენ გვაქვს ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსია, რომელიც პრეზენტაციის შემდეგ გადაეზღვება პროცესში ჩართულ ყველა მხარეს. სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილებისა და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მოხდეს ელ-საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემდგომი დამუშავება ძირითად პარტნიორებთან დისკუსიისა და შეთანხმების საფუძველზე.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

დამშობილების (TWINNING) პროექტი: ვორქშოპი - ელ. მმართველობის საკომუნიკაციო მეთოდები ევროკავშირში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დამშობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში, 3 ივნისს სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ გამართა ვორქშოპი ევროკავშირის ქვეყნებში ელ.მმართველობის საკომუნიკაციო მეთოდებთან დაკავშირებით.

ღონისძიება განკუთვნილი იყო სხვადასხვა სამთავრობო უწყებების კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებისთვის, ასევე მედიის წარმომადგენლებისთვის. ვორქშოპის მიმდინარეობისას ევროკავშირის ექსპერტებმა კრისტიან რუპმა, გოტფრიდ მარჩგოტმა და პო ვეინ ლიუმ მონაწილეებს გააცნეს ელ.მმართველობის საკითხების კომუნიკაციის პროცესში სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრის მეთოდები და კომუნიკაციის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ავსტრიის ელექტრონული მმართველობის მხარდაჭერის პროცესში.

„დღევანდელი ღონისძიება ეხება ევროკავშირის დამშობილების (TWINNING) პროექტის - ელ.მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში - საკომუნიკაციო ნაწილს. ამ მიმართულებით ეს არის ჩვენი პირველი ღონისძიება საქართველოში, როდესაც ვორქშოპს ვმართავთ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში აპრობირებული ელექტრონული მმართველობის საკომუნიკაციო მეთოდების საქართველოში გამოყენების პროცესს.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

მთავრობა IT ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიაზე მუშაობას იწყებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო სხვა სახელმწიფო უწყებებთან და კერძო სექტორთან ერთად დაჩქარებულ რეჟიმში დაიწყებს საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, მსოფლიო მასშტაბით არაერთმა მრავალწლიანმა კვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინვესტირება დადებითად აისახება ვაჭრობაზე, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენისა და ქვეყანაში მშპ-ს ზრდაზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სარგებელია: მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა; საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა ბევრ სხვა განხრებში; უკეთესი დონე განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში; ძლიერი და მეტად კონკურენტუნარიანი მცირე და საშუალო ბიზნესი; საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და მათი სიღრმისეული ცოდნა ამარტივებს ურთიერთობებს სავაჭრო პარტნიორებთან.

საქართველოს შესყიდვების ელექტრონული სისტემა - ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე მსოფლიოში



ელექტრონული შესყიდვების ოფიციალური სისტემა, რომელიც სახელმწიფო კონტრაქტების გაფორმების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და გამჭვირვალე მოდელს წარმოადგენს, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ახალი კვლევის ანგარიშში.

ამოქმედდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ახალი ვებგვერდი – tendermonitor.ge, რომელიც საზოგადოებას საჯარო შესყიდვების ძიების, დაკვირვებისა და მონიტორინგის საშუალებას აძლევს. ეს ვებგვერდი საქართველოს კონკურენციისა და

შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული შესყიდვების სისტემიდან მიღებულ მონაცემებს ემყარება.

საქართველოში სამთავრობო ტენდერები ცენტრალურად, ერთ ვებგვერდზე ცხადდება, სადაც შემდგომ კომპანიები ელექტრონულ აუქციონებში მონაწილეობენ. იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე დაბალ ფასს სთავაზობს და, ამასთან, ყველა სატენდერო მოთხოვნას აკმაყოფილებს. სატენდერო დოკუმენტაცია, ხელმოწერილი ხელშეკრულებები და განხორციელებული ცვლილებები ხელმისაწვდომია კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს მიერ 2010 წელს შექმნილ ინოვაციურ და მუდმივად განახლებად ელექტრონულ სისტემაში.

კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანს შესყიდვების ვებგვერდის მეშვეობით გასაჩივრების შესაძლებლობა აქვს. შემოსული საჩივრები დავების განხილვის საბჭოში 10 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილება, რომლის ერთ-ერთი წევრიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელიცაა. გასაჩივრების აღნიშნული მექანიზმი მეტად ინოვაციურია და საზოგადოებას სახელმწიფო შესყიდვებზე თვალის მიდევნებისა და კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში პროცესის შეჩერების შესაძლებლობას აძლევს.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge;
www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

